პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 39 (4549)
1972 წ. 24 თებერვალი, ხუთშაბათი.
ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან



## ოლიმპიური ნაკრების კანდიდატები

## მთავარი ამოცანა

ლ. ასატუროვა სპორტში საკმაოდ გამოცდილი იყო, მაგრამ მშვილდოსნობისთვის ახალბედა გამლდათ, როცა საქართველოს სპარტაკიადაში პირველი წარმატება მოიპოვა, მერე მოსკოვში, სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადაში სენსაცია მოახდინა და, როცა ქვეყნის ნაკრებში ჩარიცხეს, უფრო დიდი გამარჯვებებისკენ გაუწია გულმა.

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა კარგად იცის, რომ მიზნის მისაღწევად დიდი გარჯაა საჭირო და ისიც თავდაუზოგავად შრომობს. სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრების კანდიდატი ძალღონეს არ იშურებს, რომ მიუნჰენის სარბიელზე გამოსვლის უფლება მოიპოვოს.

ნაკრების კანდიდატობა თავისთავად კარგია, მაგრამ წევრობა ხომ მაინც სხვაა. ამიტომაც ასატუროვა ინსტიტუტისგან თავისუფალ დროს ან სასროლეთზე ატარებს, ან საერთო ფიზიკურ მომზადებაში ვარჯიშობს. თუმცა იგი მარტო სპორტს როდია გადაყოლილი — ინსტიტუტის აუდიტორიებსა და ლაბორატორიებშიც ხშირად ნახავთ, ახალგაზრდულ საღამოებსაც ესწრება, უყვარს ცეკვა, კინო, თეატრი, ხელოვნება.

როგორც ყველა საბჭოთა ოლიმპიელმა, ასატუროვამაც გაიარა მზადების პირველი ეტაპი — საერთო ფიზიკური მომზადების ძირითადი ციკლი. აი, ალბათ მალე დათბება და სხვებთან ერთად ისიც ღია სარბიელზე გავა. იზუზუნებს მშვილდის ლარი, ისრები ისევ გაფრინდებიან სამიზნის ცენტრისკენ. ჩვენ კი ცნობილ სპორტსმენს ვუსურვებთ, რომ მის ისრებს ყველაზე ზუსტად მიუნჰენში ეფრინოთ, რომ წლეულს იქიდანაც ისეთივე დიდების შარავანდედით დაბრუნდეს, როგორც შარშან მოსკოვიდან — სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადიდან დაბრუნდა.

ო. გელაშვილი.

• • •









სურათებზე, ზემოდან: წამიც და, ლ. ასატუროვას ისარი მიზნისკენ გაფრინდება; „რატომაა ცხრიანი?" — ასატუროვას მწვრთნელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ა. მამაევი ლიუბასთან ერთად მიზეზს ეძებს; ლ. ასატუროვა ფიზკულტურის ინსტიტუტის ანატომიის კაბინეტში (მარცხნივ) და ინსტიტუტის კლუბში ახალგაზრდულ საღამოზე; ჩემპიონი სამხატვრო გამოფენაზე.

ა. საიკოვის ფოტოები.

## ნათესაობა

თბილისის „დინამოს" უფროსმა მწვრთნელმა რ. ჩაჩავამ წყალბურთელთა რესპუბლიკური ჩემპიონატის მეორე ტურის მატჩში კიდევ ორ სპორტსმენს მისცა ოსტატთა კოლექტივში ვიზა. მათი სახელები კარგადაა ცნობილი სპორტის მოყვარულთათვის. ესენი არიან საქართველოს მრავალგზის ჩემპიონები და რეკორდსმენები ცურვაში, სპორტის ოსტატები ა იოაკიმიდი და ჰ. შიხიკიანი. ამ სპორტსმენებმა საბჭოთა კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის ფინალში წარუმატებლობის შემდეგ ცურვაზე ხელი აიღეს. და აი, ახლა წყალბურთში შედგა მათი დებიუტი.

არის თუ არა საერთოდ მოცურავისთვის წყალბურთი პერსპექტიული? აი, რას მეტყველებენ ფაქტები: თავის დროზე სწორედ ცურვიდან მოვიდა წყალბურთში ნ. გვახარია. გულამა ცურვაში საქართველოს ჩემპიონი და რეკორდსმენი მისთვის ახალ სახეობაში სპორტის დამსახურებული ოსტატი და საქვეყნოდ აღიარებული სპორტსმენი გახდა. გავიხსენოთ თუნდაც ბათუმელი პ. ბრეუსი და თბილისელი ვ. რომანოვი. ისინი ცურვისგან თავისუფალ დროს წყალბურთსაც თამაშობდნენ და ამ გატაცებამ ორივე საბჭოთა კავშირის ნაკრებამდე მიიყვანა. დინამოელთა კოლექტივში დიდხანს წარმატებით თამაშობდა სპორტის ოსტატი ლ. გიორგაძე.

ასეთია ცურვისა და წყალბურთის ნათესაობა. მაგრამ, როგორც იტყვიან, ნათესავთან ყველას როდი მიესვლება. იოაკიმიდისა და შიხიკიანს უფროსი მეგობრების მაგალითისამებრ მხოლოდ დიდი, გულმოდგინე შრომა მოუტანს სასურველ შედეგს.

გუშინწინ გამართულ ტურში დინამოელები „სპარტაკის" ახალბედა კოლექტივს შეხვდნენ. აქვე შევნიშნავთ, რომ საერთოდ ამ დღეს ძლიერი და სუსტი კოლექტივები წარსდგნენ ერთმანეთის პირისპირ. ამიტომაც მატჩებს სპორტული ქინი აკლდა. ფაქტიურად მხოლოდ შეხვედრის ანგარიშის იურიდიული გაფორმება იყო საჭირო. აი, ისიც: „დინამო" — „სპარტაკი" 12:2, „ლოკომოტივი" — „ვოდნიკი" 11:4. „ბურევესტნიკ" „მშრალი" ანგარიშით (14:0) იგებდა მატჩს, მაგრამ ქუთაისელებმა ბოლო პერიოდის მიწურულს შეძლეს ერთი ბურთის გაქვითვა.

ჩემპიონატი ხვალ დამთავრდება.

თ. გაჩეჩილაძე.

## წარმატების საწინდარი

**19-20 თებერვალს ბაქოში შედგა აზერბაიჯანისა და საქართველოს მოჭადრაკეთა ოლიმპიური გუნდების ამხანაგური მატჩი 14 დაფაზე. ორდღიანი ბრძოლა ჩვენმა მოჭადრაკეებმა მოიგეს — 17,5:10,5.**

როგორც ცნობილია, 1 მარტს მოსკოვში დაიწყება სსრ კავშირის I საჭადრაკო ოლიმპიადა. ეს იქნება საბჭოთა ჭადრაკის წინსვლის ნათელი დემონსტრაცია. ამ გრანდიოზულ შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის გუნდები, თითოეულ კოლექტივში 12 მოჭადრაკეა — ხუთი ვაჟი, ორ-ორი ჭაბუკი, ქალი, გოგონა და ერთი ბიჭი. როგორც ხედავთ, სტარტზე 204 მოჭადრაკე გამოვა. მათ შორის იქნებიან გამოჩენილი დიდოსტატები და ოსტატები.

რა თქმა უნდა, ოლიმპიადისთვის საქართველოს მოჭადრაკეები გულმოდგინედ მოემზადნენ. უძლიერესთა შორის უძლიერესებმა ამას წინათ საწვრთნელ ტურნირებში მიიღეს მონაწილეობა. ვაჟთა შეჯიბრებაში I ადგილი დაიკავა საქართველოს ჩემპიონატის პრიზიორმა ზ. მიქაძემ — 6,5 ქულა. II ადგილზე გავიდა ს. ჩეჩელიანი — 6, III — ე. უბილავა — 5,5. ქალთა ტურნირში I-III ადგილები 5,5-5,5 ქულით გაიყვეს ტ. ჩაიკოვსკაიამ, ს. კალანდარიშვილმა და ც. კახაბრიშვილმა. ჭაბუკთა შეჯიბრებაში I-II ადგილები გაიყვეს გ. მაჭარაშვილმა და გ. ზაიჩიკმა — 5-5.

რესპუბლიკის ჭადრაკის ფედერაციამ დაამტკიცა ჩვენი ოლიმპიური გუნდის ასეთი შემადგენლობა: ვაჟები — დიდოსტატი ე. გუფელდი, საერთაშორისო ოსტატი რ. ჯინჯიხაშვილი, ოსტატები ე. უბილავა, ს. ჩეჩელიანი, ოსტატობის კანდიდატი ზ. მიქაძე; ჭაბუკები — ოსტატობის კანდიდატები დ. გედევანიშვილი, ვ. ვეფხიშვილი; ბიჭი — ოსტატობის კანდიდატი გ. მაჭარაშვილი; ქალები — ოსტატები ც. კობაიძე, თ. ხუგაშვილი, გოგონები — ოსტატობის კანდიდატები თ. კაჭარავა, მ. წერეთელი. გუნდის კაპიტანია დიდოსტატი ბ. გურგენიძე, რომელიც, ამავე დროს სათადარიგო მოთამაშეც იქნება — ვაჟთა დაფაზე ითამაშებს საჭიროების მიხედვით.

დასანანია, რომ სარბიელზე ვერ გამოდიან ჩვენი სახელოვანი ოსტატები ნ. გაფრინდაშვილი და ნ. ალექსანდრია. რა თქმა უნდა, ეს გუნდს დაეტყობა.

მოსკოვში გამგზავრებამდე ჩვენი ოლიმპიელები აზერბაიჯანელ კოლეგებს შეხვდნენ ორწრიან ამხანაგურ მატჩში. ვარჯიშის მიზნით გუნდში აგრეთვე იყვნენ ოსტატი თ. ლომაია (ჩეჩელიანის მაგიერ, რომელსაც საპატიო მიზეზით ბაქოში წასვლა არ შეეძლო) და ზაიჩიკი.

ცალკეული შეხვედრების შედეგები ასეთია: გურგენიძე — ვ. ბაგიროვი 0:1, 0,5:0,5, გუფელდი — გ. კუზმინი 1:0, 0,5:0,5, ჯინჯიხაშვილი — ო. პავლენკო 1:0, 1:0, უბილავა — ა. მორგულიოვი 1:0, 0,5:0,5, ლომაია — ა. ველიბეკოვი 1:0, 1:0, მიქაძე — ლ. ლისტენგარტენი 1:0, 0,5:0,5, გედევანიშვილი—ფ. სიდეფ-ზადე 0,5:0,5, 0,5:0,5, ვეფხიშვილი — ს. სულეიმანოვი 0:1, 0:1, მაჭარაშვილი — ფ. ჯალალოვი 1:0, 0,5:0,5, ზაიჩიკი — ა. ჰუსეინოვი 1:0, 0,5:0,5, კობაიძე — ტ. ზატულოვსკაია 0,5:0,5, 0,5:0,5, ხუგაშვილი — ა. საიკოვა 0:1, 0,5:0,5, კაჭარავა — ლ. ბარიშნიკოვა 1:0, 1:0, წერეთელი — ე. ალიევა 1:0, 0:1, ამრიგად, პირველი წრე მოვიგეთ ანგარიშით 10,5:3,5, მეორე კი ყაიმით დავამთავრეთ — 7:7.

მატჩმა ცხადყო, რომ ჩვენს მოჭადრაკეებს შეუძლიათ წარმატებით იბრძოლონ ფინალის საგზურებისთვის, რისთვისაც საჭიროა ნახევარფინალურ ტურნირში I ან II ადგილზე გასვლა. ნახევარფინალში თამაში გვიწევს უკრაინის, სომხეთის, უზბეკეთის, მოლდავეთისა და ყირგიზეთის გუნდებთან.

ორიოდე დღის შემდეგ ჩვენი გუნდი მწვრთნელებთან — სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელთან, ოსტატ მ. შიშოვთან, ოსტატ ა. ბუსლაევთან და ოსტატობის კანდიდატ გ. მაჭავარიანთან ერთად მოსკოვს გაემგზავრება.

თ. ნინოშვილი.

## „კოლმეურნის" სტარტი

ამ დღეებში ცხაკაია „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს მოჭადრაკეთა ჩემპიონატს მასპინძლობს. ქალთა ტურნირში 11 მოჭადრაკე თამაშობს, მათ შორის — შარშანდელი ჩემპიონი ა. ბაძაღუა (ზუგდიდი). ვაჟთა შეჯიბრებაში, რომელიც შვეიცარიული სისტემით ტარდება, 26 მოჭადრაკე მონაწილეობს. მათ შორის არიან ოსტატობის კანდიდატები ი. მანაშეროვი (ხაშური), გ. ბიბილაშვილი (გარდაბანი), ნ. ლომაია (ცხაკაია), ა. გიორგაძე (სოხუმი).

ტურნირებში I-II ადგილებზე გასულები სოფლის მოჭადრაკეთა საკავშირო ჩემპიონატში ითამაშებენ.

2 ტურის შემდეგ ქალთა შეჯიბრებაში დაწინაურდნენ ლ. კორომშინაძე (მახარაძე) და ბაძაღუა — 2-2 ქულა. ვაჟთა შორის ლიდერობა ხელთ იგდეს მანაშეროვმა, ლომაიამ, ბიბილაშვილმა, ტ. ლემონჯავამ (ჩხოროწყუ) და ი. სიფრაშვილმა — 2-2. ჟ. მზარელუას (წალენჯიხა) 1,5 ქულა აქვს.

ე. გუგუნავა.
(ჩვენი კორ.).
ცხაკაია.

## ტრადიციულად, საინტერესოდ...

კვირას თბილისის ოფიცერთა სახლის მოჭადრაკეები ამხანაგურ მატჩში შეხვდნენ თავიანთ დინამოელ კოლეგებს. ეს შეხვედრა მიეძღვნა საბჭოთა არმიის შექმნის 54-ე და საბჭოთა საქართველოს არსებობის 51-ე წლისთავს.

ბრძოლა 25 დაფაზე გაიმართა. ვაჟთა გუნდებს ლიდერობდნენ ოსტატები ა. ბუსლაევი („დინამო") და ა. იზვოზჩიკოვი (საბჭოთა არმია), ქალებისას — საერთაშორისო ოსტატი ა. ჩაიკოვსკაია (საბჭოთა არმია) და საქართველოს შარშანდელი ჩემპიონი ს. კალანდარიშვილი („დინამო").

ანგარიშით 14,5:10,5 გაიმარჯვეს დინამოელებმა. ბუსლაევმა სძლია თავის მეტოქეს, ხოლო ლიდერ ქალთა შეხვედრა ყაიმით დამთავრდა.

საინტერესოა, რომ ეს გუნდები ცამეტჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. 10 მატჩი მოიგეს დინამოელებმა, სამი — არმიელებმა. საერთო ანგარიშია 185,5:171,5 დინამოელთა სასარგებლოდ.

ე. ახვლედიანი.

ჭ ა დ რ ა კ ი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# როცა საბრძოლველად არ ხარ განწყობილი...

მოსკოვი, 23 თებერვალი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). ცსკა-ს დარბაზში, სადაც ჩოგბურთში მოსკოვის საერთაშორისო ტურნირი ტარდება, ყოველდღე დიდძალი მაყურებელი იყრის თავს. ამ დიდი ინტერესის მიზეზი გახლავთ ა. მეტრეველი, რომელმაც უკვე კარგა ხანია დაიმსახურა ჩოგბურთის ქომაგთა პატივისცემა და სიყვარული. გუშინ მეტრეველი მერვედფინალურ მატჩში ხვდებოდა ახალგაზრდა უნგრელ სპორტსმენს ბ. ტაროცის. მათი თამაში ზუსტად 70 წუთს გაგრძელდა. ამ ხნის მანძილზე თბილისელ ჩოგბურთელს მგონი მაყურებელი უფრო დაძაბული ჰყავდა, ვიდრე მეტოქე: მეტრეველი კორტზე ხან რაღაც უხალისოდ მოქმედებდა, ხან კი მისთვის ჩვეული ოსტატობით უტევდა მეტოქეს. პირველი ხელის პირველი გეიმი მან „მშრალი" ანგარიშით მოიგო, თანაც უნგრელის მოწოდებაზე. შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ტაროცი სწრაფად დაყრიდა ფარ-ხმალს, მაგრამ მან მომდევნო გეიმშივე დაამტკიცა, რომ ამას არ აპირებდა — „მშრალი" ანგარიშით მოიგო გეიმი. შემდეგ მეტრეველი კვლავ დაწინაურდა (3:1) და ტაროციმ კვლავ გააწონასწორა მდგომარეობა (3:3). მეტრეველმა მაინც იპოვა თავისი თავი და პირველი პარტია მოგებამდე მიიყვანა — 6:4. მეორე პარტია ტაროციმ კარგად ჩაატარა და მოიგო კიდეც — 6:4. ამას უკვე არავინ ელოდა, ალბათ თვით მეტრეველიც. ასეა: ხანდახან მარტო ოსტატობაც არ კმარა, თუ ბრძოლისთვის არა ხარ განწყობილი. მესამე ხელი მეტრეველმა იმით დაიწყო, რომ მეტოქეს კვლავ დაწინაურების საშუალება მისცა (1:0, 2:1), მესამე, გადამწყვეტი პარტიის შუა ფაზაში კი, როგორც იქნა, გარდატეხა შეიტანა თამაშში. საბოლოოდ ტაროციმ წააგო პარტიაც (3:6) და შეხვედრაც.

ორიოდე სიტყვა უნგრელ ჩოგბურთელზე: ახლახან მან ბივორის თასის გათამაშებაში უძლიერესის წოდება მოიპოვა და ახლა თავის ქვეყანაში ჩოგბურთის ამომავალ ვარსკვლავად თვლიან.

ვაჟთა წყვილების პირველ წრეში (მერვედფინალი) თ. კაკულია ვ. ზობოლდოვთან ერთად პოლონელთა დუეტის—ტ. ნოვიცკისა და ი. ნეძვეცკის წინააღმდეგ გამოდიოდა. პოლონელებმა უკეთესად ითამაშეს და გაიმარჯვეს — 6:4, 6:3.

ქალთა ერთეულების მეოთხედფინალში მხოლოდ საბჭოთა სპორტსმენები გავიდნენ. ამ თანრიგში მოასპარეზე უცხოელი სპორტსმენები — ი. ბერბერიანი (ბულგარეთი), ნ. ფიუქსი, ო. დე-რუბენი (ორივე — საფრანგეთი) და მ. კოზელუხოვა (ჩეხოსლოვაკია) პირველობისთვის ბრძოლას სხვადასხვა ეტაპზე გამოეთიშნენ.

ვაჟთა ერთეულების მეოთხედფინალში ჯერჯერობით მხოლოდ ერთმა უცხოელმა გაიკაფა გზა. ესაა ბულგარელი ლ. გენოვი. ასეთივე შანსი აქვს დასავლეთბერლინელ უ. გოტშალკს, რომელსაც მერვედფინალის მატჩი ვ. პალმანთან ჯერ არ უთამაშია. რ. მახანი, ბ. ტაროცი (ორივე—უნგრეთი), ბ. ზამპულოვი (ბულგარეთი), დ. ხერედაუ, ვ. მარკუ (ორივე — რუმინეთი), ი. ნეძვეცკი, ტ. ნოვიცკი (ორივე — პოლონეთი), პ. ჰუტკა, ი. გრჟებეცკი (ორივე — ჩეხოსლოვაკია) და გ.-ი. პოომანი (გფრ) მეოთხედფინალის მიღმა დარჩნენ.

ჯ. ენუქიძე.

* * *

### ტექნიკური შედეგები

ვაჟთა ერთეულები (მეთექვსმეტედფინალი). უ. გოტშალკი (გფრ) — ე. ბობოედოვი 6:3, 6:7, 7:5, შ. ტარპიშჩევი — გ.-ი. პოომანი (გფრ) 6:3, 6:3. მეორე წრე (მერვედფინალი). ა. ვოლკოვი — ს. ლიხაჩოვი 6:4, 6:4, ა. ივანოვი — ვ. ეგოროვი 6:2, 6:3, ლ. გენოვი (ბულგარეთი) — ტ. ნოვიცკი (პოლონეთი) 6:3, 6:3, ა. ბოგომოლოვი — ა. ეგოროვი 7:6, 6:4, თ. ლეიუსი — რ. მახანი (უნგრეთი) 7:6, 1:6, 6:3.

ქალთა ერთეულები. პირველი წრე (მეთექვსმეტედფინალი). ნ. ფიუქსი (საფრანგეთი) — ი. ბერბერიანი (ბულგარეთი) 6:4, 6:1, ზ. იანსონე — ო. დე-რუბენი (საფრანგეთი) 6:0, 6:2. მეორე წრე (მერვედფინალი). ო. მოროზოვა — ე. ბრიუხანჩიკოვა 6:2, 6:3, ე. იზოპაიტისი — ლ. ტოპორკოვა 6:2, 6:2, ე. ბირიუკოვა — ნ. ფიუქსი (საფრანგეთი) 6:4, 6:4, ტ. ერემეევა — ნ. ჩმირიოვა 6:0, 6:0, მ. ჩუვირინა — ზ. იანსონე 6:1, 3:6, 6:2, მ. კროშინა — ე. გრანატუროვა 1:6, 6:0, 6:2, ა. დმიტრიევა — ლ. ზინკევიჩი 6:2, 6:1, გ. ბაკშეევა — ე. გეშიანი 6:2, 6:1.

ქალთა წყვილები (მონაწილეობს 8 დუეტი). პირველი წრე (მეოთხედფინალი). მოროზოვა, იანსონე — გიშიანი, ჩმირიოვა 6:0, 6:1, ერემეევა, ზინკევიჩი — დე-რუბენი, ფიუქსი 6:2, 6:1, კროშინა, ბირიუკოვა — კოზელუხოვა, იზოპაიტისი 6:7, 6:3, 6:2.

ვაჟთა წყვილები. პირველი წრე (მერვედფინალი). მახანი, ტაროცი — ვოლკოვი, ტარპიშჩევი 4:6, 6:3, 6:4, ჰუტკა, გრჟებეცი — ჩობა, ახმეროვი 6:3, 6:4.



საბჭოთა ჩოგბურთის ვეტერანი, სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი, ტალინელი თ. ლეიუსი კვლავ ახალგაზრდული შემართებით იბრძვის კორტზე. ამ სურათზე თქვენ მას სწორედ ასპარეზობის დროს ხედავთ.

მ. თათარიშვილის ფოტო.

# 13 გეიმი" „ლელოს" პასუხი...

ჩვენი გაზეთის მკითხველები მ. კოპალეიშვილი, ა. გელაშვილი, ა. ხომერიკი, ლ. გურული, ვ. ყუფარაძე, გ. ქობულაშვილი (თბილისი) გვთხოვენ ავუხსნათ, თუ რატომ გვხვდება პრესის ფურცლებზე საჩოგბურთო შეჯიბრებების ანგარიშის დროს 7:6.

ვიძლევით პასუხს ამ შეკითხვაზე.

ამ ბოლო დროს ხშირია შემთხვევა, როცა ჩოგბურთელთა შეხვედრები მთავრდება თითქმის უჩვეულო ანგარიშით — 7:6.

ჩოგბურთელთა შეჯიბრება სხვა სახეობების წარმომადგენელთა ასპარეზობისგან განსხვავებით, დროის რაიმე მონაკვეთით არაა განსაზღვრული. მოგებისთვის საჭიროა თითოეულ პარტიაში ჩაიწეროს არანაკლებ 6 გეიმისა, ამავე დროს, მეტოქეს აქტივში ორი გეიმით ნაკლები უნდა ჰქონდეს. ამის გამო საკმაოდ ხშირია ანგარიში 20:18, 19:17, 18:16 და ა. შ.

პარტიის ხანგრძლივობა ასეთ დროს 2,5-3 საათს აღწევს, მთლიანად შეხვედრისა კი 5-6 საათს. არასოდეს დამავიწყდება ერთი შემთხვევა: 1966 წელს ტალინში საერთაშორისო ახალგაზრდულ ტურნირში ჩემმა შეხვედრამ უნგრეთის მეორე ჩოგან ე. დუდაისთან 3 საათსა და 50 წუთს გასტანა. გავიმარჯვე, მაგრამ მეორე დღისთვის არაქათგაცლილი ვიყავი. ასეთი მარათონული შეხვედრები ჩოგბურთში ძალიან ღლის მოთამაშესაც და მაყურებელსაც, არღვევს შეჯიბრების გრაფიკს.

საზღვარგარეთის მთელ რიგ ქვეყნებში უკვე რამდენიმე წელია შემოიღეს 13 გეიმის წესი. ასე ტარდება დიდი საერთაშორისო ტურნირები (ავსტრალიის, აშშ-ს ღია ჩემპიონატები და სხვ.). 1970-71 წლებში სსრ კავშირშიც ჩატარდა რამდენიმე ასეთი ტურნირი.

რაში მდგომარეობს ამ წესის არსი? პარტიაში ცამეტ გეიმზე მეტი არ შეიძლება გათამაშდეს, ესე იგი, ყოველი პარტიის საბოლოო ანგარიში შეიძლება იყოს 6:4, 7:5 ან 7:6. თუ მეტოქენი 6-6 გეიმს მოიგებენ, მეცამეტე, გადამწყვეტ გეიმში მოწოდება ერთი მოთამაშიდან მეორეზე გადადის: ორ ბურთს აწვდის ერთი, შემდეგ ორს — მეორე. მოთამაშეები მხარეებს იცვლიან და კვლავ მეორდება მოწოდებათა სერია. გეიმში ანგარიში ხუთ მოგებულ ბურთამდე იზრდება. იმ შემთხვევაში, თუ ანგარიში თანაბარია (4:4), უნდა გათამაშდეს მეცხრე მოწოდება. აწოდებს ის მოთამაშე, რომელიც გადამწყვეტი, მეცამეტე გეიმის დასაწყისში მოწოდებას იღებდა.

13 გეიმს ბევრი მომხრე ჰყავს როგორც მწვრთნელებს, ისე მოთამაშეებსა და მსაჯებს შორის.

ლამარა მგალობლიშვილი,
სპორტის ოსტატი.

საქართველოს თოვლიან ბილიკებზე

# აჭარის ჩემპიონები

აჭარის მოთხილამურეთა პირველობა ხულოს რაიონის სოფელ ქედლების მიდამოებში გაიმართა. ტურნირში მონაწილეობდნენ ხულოს (2), ქედის, შუახევის რაიონებისა და კომუნალური მეურნეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშაკთა პროფკავშირის კოლექტივები.

პირველი დღე ესტაფეტებს დაეთმო. ვაჟები 4×5 კილომეტრზე ასპარეზობდნენ. გაიმარჯვა შუახევის რაიონის ნაკრებმა, რომელიც ოლადაურისა და მაწყვალთის საშუალო სკოლების მოსწავლეებით იყო დაკომპლექტებული. II ადგილზეა ხულოს რაიონის მეორე გუნდი, III — ამავე რაიონის პირველი გუნდი.

ქალთა შორის 3×3 კილომეტრზე ესტაფეტაში აჭარის ჩემპიონის წოდება ხულოს რაიონის პირველი გუნდის მოთხილამურეებმა დაისაკუთრეს. II ადგილზეა ხულოს მეორე კოლექტივი, III — შუახეველთა ნაკრები.

ასპარეზობის მეორე დღეს მაყურებელთა განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ვაჟთა ასპარეზობამ 10 კილომეტრზე. სტარტიდანვე დაწინაურდა ხულოს რაიონის პირველი გუნდის წევრი თ. ჩოგოძე და I ადგილიც მას ხვდა. მომდევნო ადგილებზე შუახეველები შ. თავდგირიძე და ი. მაკარაძე გავიდნენ.

ქალებში 5-კილომეტრიანი ტრასა ყველაზე სწრაფად გაიარა გამოცდილმა ხულოელმა ჭ. ჯიმშერაძემ. II და III ადგილებიც გამარჯვებულის თანაგუნდელებმა ე. ჩოგაძემ და რ. ჯორკილაძემ დაიკავეს.

საერთო გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობა ხულოს რაიონის პირველმა გუნდმა. II ადგილზეა შუახევის ნაკრები, III — ხულოს რაიონის მეორე გუნდი.

შეჯიბრებამ ბევრი პერსპექტიული ახალგაზრდა მოთხილამურე გამოავლინა. ისინი უკეთეს შედეგებს მიაღწევდნენ, მაღალხარისხოვანი ინვენტარი რომ ჰქონოდათ.

(ჩვენი კორ.).

სოფ. ქედლები,
ხულოს რაიონი.

# „უცნაური" სტარტები

ბაკურიანის თოვლიან ბილიკებზე ძალ-ღონით აღსავსე ახალგაზრდების ასპარეზობას მივეჩვიეთ. ამიტომ უცნაურად გვეჩვენა ამას წინათ აქ გამართული სათხილამურო ესტაფეტა 2×5 კილომეტრზე, რომელშიც საშუალო და უფროსი ასაკის კაცები მონაწილეობდნენ.

შეჯიბრების იდეა ბაკურიანში მყოფ სსრ კავშირის სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების იუნიორთა ნაკრები გუნდების მწვრთნელებსა და წარმომადგენლებს დაებადათ. ყოველ გუნდს 2-2 „ვადაგასული სპორტსმენი" გამოჰყავდა. ბრძოლაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს „სპარტაკის", „ზენიტის", „დინამოს", „ბურევესტნიკის", სასოფლო სპორტსაზოგადოებების საკავშირო საბჭოს, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების, განათლების სამინისტროსა და სხვათა მწვრთნელებმა, წარმომადგენლებმა.

ასპარეზზე ვიხილეთ ტურნირის უხუცესი მონაწილე, არმიელ იუნიორთა მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი, სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი, 56 წლის ვ. ვოლოდინი, რომელმაც თავისი ეტაპი 17 წუთსა და 59 წამში გაირბინა. თუმცა ეს შედეგი უკანასკნელი იყო, ვოლოდინი მაინც კმაყოფილი დარჩა, რომ თავი თუნდაც 18 წუთით ძველ ამპლუაში იხილა.

აბსოლუტურად საუკეთესო შედეგს მიაღწია სასოფლო სპორტსაზოგადოებების საკავშირო საბჭოს იუნიორთა ნაკრები გუნდის მწვრთნელმა, სპორტის ოსტატმა, 35 წლის ი. კოპიტოვმა, რომელმაც 5 კილომეტრის გავლას 14.41,0 მოანდომა და თანაგუნდელ ე. ლუკინთან (15.05,0, მესამე შედეგი) ერთად ესტაფეტაში პირველობა დაისაკუთრა. გუნდის დროა 28.46,0.

ეტაპზე მეორე შედეგი (14.54,0) „სპარტაკის" იუნიორთა ნაკრების მწვრთნელმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა, 38 წლის ვ. ვალიუევმა აჩვენა. „სპარტაკის" დუეტი (მეორე წევრი ი. ორჟილოვი) II ადგილზე გავიდა — 30.27,0. III ადგილი წილად ხვდა „ზენიტს" — 31.48,0.

შეჯიბრებამ დიდი ინტერესი გამოიწვია. ურიგო არ იქნებოდა ჯანმრთელობის ამგვარ ტურნირება საქართველოს პირველობების მონაწილე გუნდების მწვრთნელები და წარმომადგენლებიც რომ ატარებდნენ. ეს ხომ სათხილამურო სპორტის საუკეთესო პროპაგანდაც იქნება.

ლ. ხეცურიანი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ბაკურიანი.

# მეზღვაურთა რესპუბლიკური...

ცისკარას თოვლიან ფერდობებზე ორ დღეს გრძელდებოდა „ვოდნიკის" რესპუბლიკური საბჭოს პირად-გუნდური პირველობა სათხილამურო სპორტში. თეთრ ბილიკებზე ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ საქართველოს საზღვაო სანაოსნოს, ბათუმის საზღვაო ნავსადგურისა და საზღვაოსნო სასწავლებლის საუკეთესო სპორტსმენები.

ასპარეზობის პროგრამაში შედიოდა 3 და 5 კილომეტრზე რბენა ქალთათვის, 5 და 10 კილომეტრზე რბოლები ვაჟთა შორის და ესტაფეტები.

5 კილომეტრზე მორბენალ ვაჟებში უძლიერესის სახელი მოიპოვა საზღვაოსნო სასწავლებლის კურსანტმა ვ. კონარევმა. 10-კილომეტრიან მანძილზე საუკეთესო იყო საქართველოს საზღვაო სანაოსნოს გუნდის წევრი პ. ვიშნიაკოვი.

3 და 5 კილომეტრზე რბოლებში საზოგადოების ჩემპიონი გახდა ბათუმის საზღვაო ნავსადგურის წარმომადგენელი ლ. ტუკალოვა.

3×3 კილომეტრზე ესტაფეტაში გაიმარჯვეს საზღვაო ნავსადგურის მოთხილამურე ქალებმა, ხოლო ვაჟთა შორის 4×5 კილომეტრზე ესტაფეტაში ყველას აჯობა საზღვაოსნო სასწავლებლის გუნდმა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში ნავსადგურის სპორტსმენებმა იმარჯვეს.

ო. მურვანიძე.
(ჩვენი კორ.).

ბათუმი.

# ღვირიშელთა უპირატესობით

სოფელ ნაკურალეში გაიმართა ცაგერის რაიონის პირველობა სათხილამურო სპორტში. ტურნირი ორ ასაკობრივ ჯგუფში ჩატარდა: უფროს ასაკში 9 გუნდი მონაწილეობდა, უმცროსში — 11. სულ სტარტზე 120 სპორტსმენი გამოვიდა.

10 კილომეტრზე რბოლა (უფროსი ასაკის ვაჟები) მოიგო ცხუკუშერის სკოლის მოსწავლემ რ. ყურაშვილმა, 5-კილომეტრიან მანძილზე კი პირველობა ღვირიშელმა ა. ყურაშვილმა დაისაკუთრა.

უმცროსი ასაკის ვაჟებში 3 და 5 კმ-ზე ასპარეზობისას ყველაზე კარგი შედეგები ჰქონდა თ. სვანიძეს (ცხუკუშერი).

5 კილომეტრზე ქალთა რბოლაში ცხუკუშერელმა მ. სვანიძემ იმარჯვა. 3-კილომეტრიან დისტანციაზე პირველი იყო მ. ირემაძე (ღვირიში). გოგონებში 3 და 2 კილომეტრზე რბოლებში ჩემპიონი გახდა მ. სვანიძე (ცხუკუშერი).

სწრაფდაშვებასა და სლალომში, როგორც უფროს, ისე უმცროს ასაკში ყველას ღვირიშელებმა აჯობეს.

საერთო გუნდურ ჩათვლაში ორივე ასაკობრივ ჯგუფში გამარჯვება ღვირიშის საშუალო სკოლის მოთხილამურეებმა მოიპოვეს. II ადგილზე არიან ცხუკუშერის საშუალო სკოლის გუნდები. უფროსი ასაკის კოლექტივებში III ადგილი დაიკავა ცაგერის საშუალო სკოლის ნაკრებმა. უმცროსი ასაკის კოლექტივებში პირველნი იყვნენ ნასპერის 8-წლიანი სკოლის მოთხილამურეები.

ზ. ხვადაგიანი,
ცაგერის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე.

# საპოროს ლაურეატები

## ქალები

1. გ. კულაკოვა (სსრკ)—3 ოქრო (რბოლა 5, 10 კმ და ესტაფეტა 3×5 კმ). 3 მედალი.

2. მ. კაიოსმაა (ფინეთი) — 2 ვერცხლი (რბოლა 5 კმ და ესტაფეტა 3×5 კმ), 1 ბრინჯაო (რბოლა 10 კმ). 3 მედალი.

3. ა. კეილენ-დეელსტრა (ჰოლანდია) — 1 ვერცხლი (ციგურებით სწრაფრბენა 1000 მ), 2 ბრინჯაო (ციგურებით სწრაფრბენა 1500 და 3000 მ). 3 მედალი.

4. მ.-ტ. ნადიგი (შვეიცარია) — 2 ოქრო (სწრაფდაშვება და გიგანტური სლალომი). 2 მედალი.

5. ს. ბაას-კაიზერი (ჰოლანდია) — 1 ოქრო (ციგურებით სწრაფრბენა 3000 მ), 1 ვერცხლი (ციგურებით სწრაფრბენა 1500 მ). 2 მედალი.

6. ა. ოლიუნინა (სსრკ) — 1 ოქრო (ესტაფეტა 3×5 კმ), 1 ვერცხლი (რბოლა 10 კმ). 2 მედალი.

7. დ. ჰოლამი (აშშ) — 1 ოქრო (ციგურებით სწრაფრბენა 1500 მ), 1 ვერცხლი (ციგურებით სწრაფრბენა 3000 მ). 2 მედალი.

8. ა. ჰენინგი (აშშ) — 1 ოქრო (ციგურებით სწრაფრბენა 500 მ), 1 ბრინჯაო (ციგურებით სწრაფრბენა 1000 მ). 2 მედალი.

9. ა. პრიოლი (ავსტრია) — 2 ვერცხლი (სწრაფდაშვება და გიგანტური სლალომი). 2 მედალი.

10. ბ. კოქრანი (აშშ) — 1 ოქრო (სლალომი). 1 მედალი.

11. ა. მიულერი (გდრ) — 1 ოქრო (საციგაო სპორტი). 1 მედალი.

12. ლ. მუხაჩოვა (სსრკ) — 1 ოქრო (ესტაფეტა 3×5 კმ). 1 მედალი.

13. მ. პფლიუგი (გფრ) — 1 ოქრო (ციგურებით სწრაფრბენა 1000 მ). 1 მედალი.

14. ი. როდნინა (სსრკ) — 1 ოქრო (ფიგურული ციგურაობა. წყვილები). 1 მედალი.

15. ბ. შუბა (ავსტრია) — 1 ოქრო (ფიგურული ციგურაობა. ერთეულები). 1 მედალი.

16. დ. დებერნარი (საფრანგეთი) — 1 ვერცხლი (სლალომი). 1 მედალი.

17. ვ. კრასნოვა (სსრკ) — 1 ვერცხლი (ციგურებით სწრაფრბენა 500 მ). 1 მედალი.

18. ხ. კუნტოლა (ფინეთი) — 1 ვერცხლი (ესტაფეტა 3×5 კმ). 1 მედალი.

19. ქ. მაგნუსენი (კანადა)—1 ვერცხლი (ფიგურული ციგურაობა. ერთეულები). 1 მედალი.

20. უ. რიუროლდი (გდრ) — 1 ვერცხლი (საციგაო სპორტი). 1 მედალი.

21. ლ. სმირნოვა (სსრკ) — 1 ვერცხლი (ფიგურული ციგურაობა. წყვილები). 1 მედალი.

22. ხ. ტაკალო (ფინეთი) — 1 ვერცხლი (ესტაფეტა 3×5 კმ). 1 მედალი.

23. ი. აუფლესი (ნორვეგია) — 1 ბრინჯაო (ესტაფეტა 3×5 კმ). 1 მედალი.

24. მ. გროსი (გდრ) — 1 ბრინჯაო (ფიგურული ციგურაობა. წყვილები). 1 მედალი.

25. ა. დალი (ნორვეგია) — 1 ბრინჯაო (ესტაფეტა 3×5 კმ). 1 მედალი.

26. ვ. დრექსელი (ავსტრია) — 1 ბრინჯაო (გიგანტური სლალომი). 1 მედალი.

27. ს. კოროკი (აშშ) — 1 ბრინჯაო (სწრაფდაშვება). 1 მედალი.

28. ჯ. ლინი (აშშ) — 1 ბრინჯაო (ფიგურული ციგურაობა. ერთეულები). 1 მედალი.

29. ბ. მიორდრე-ლამედალი (ნორვეგია) — 1 ბრინჯაო (ესტაფეტა 3×5 კმ). 1 მედალი.

30. ფ. სტიური (საფრანგეთი) — 1 ბრინჯაო (სლალომი). 1 მედალი.

31. ლ. ტიტოვა (სსრკ) — 1 ბრინჯაო (ციგურებით სწრაფრბენა 500 მ). 1 მედალი.

32. ხ. შიკოლოვა (ჩეხოსლოვაკია) — 1 ბრინჯაო (რბოლა 5 კმ). 1 მედალი.

33. მ. შუმანი (გდრ) — 1 ბრინჯაო (საციგაო სპორტი). 1 მედალი.

SAPPORO'72

# გამარჯვების სიხარული





**ს**აპოროს ზამთრის ოლიმპიადის ოქროს პირველი მედალი ქალთა შორის შვეიცარიელმა მარია ტერეზა ნადიგმა მიიღო. ამ 18 წლის სპორტსმენის დიდებული გამარჯვება სწრაფდაშვებაში ოფიციალურად აღიარეს ოლიმპიადის ერთ-ერთ სენსაციად. ნადიგმა უძლიერეს სამთო-მოთხილამურეებთან ბრძოლაში საუკეთესო დროც აჩვენა (1.36,68) და ყველა განაცვიფრა მსუბუქი, გაბედული სტილით.

თანამემამულის წარმატებას ზეიმით შეხვდნენ შვეიცარიელი გულშემატკივრები და სპორტსმენები, რომლებიც ბლომად იყვნენ ამ დღეს ენივას მთის ფერდობებზე.

სურათზე: მარია ტერეზა გამარჯვების ფინიშის შემდეგ.

**კ**მაყოფილი იყო თავისი შედეგით ამერიკელი სამთომოთხილამურე სიუზან კოროკიც, რომელმაც სწრაფდაშვება მხოლოდ წამის მეათედით წააგო ნადიგთან. კოროკმა ამერიკის ოლიმპიურ გუნდს ბრინჯაოს პირველი მედალი მოუტანა.

სურათზე: წარმატებით გახარებული ამერიკელი გულითად მადლობას უხდის გულშემატკივრებს.

## ოლიმპიელებს — მაღალი წოდებები

საპოროს ზამთრის XI ოლიმპიურ თამაშებში წარმატებით ასპარეზობისთვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა **სპორტის დამსახურებული ოსტატის** წოდება მიანიჭა: **ი. ბიაკოვს** (კიროვის ოლქი, ბიატლონი), **ი. ბლინოვს** (მოსკოვი, ჰოკეი), **ლ. მუხაჩოვას** (მურმანსკის ოლქი, სათხილამურო რბოლა), **ი. სკობოვს** (კიროვის ოლქი, სათხილამურო რბოლა), **ს. ჩეტვერუხინს** (მოსკოვი, ფიგურული ციგურაობა), **გ. ციგანკოვს** (მოსკოვი, ჰოკეი).

**საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის** წოდება მიენიჭათ: **ვ. ვასილიევსა და ა. პაშკოვს** (ორივე — მოსკოვი, ჰოკეი).

სსრ კავშირის ჩემპიონატი

# ორი სენსაცია



გუშინწინ გაიმართა ორი მატჩი.

კაუნასი. ადგილობრივი „ჟალგირისისა" და კიევის არმიელთა შეხვედრის შედეგი ჩემპიონატის ერთ-ერთ სენსაციად უნდა მივიჩნიოთ. კიეველებმა პირველ ტაიმში მძაფრი წინააღმდეგობა გაუწიეს მასპინძლებს, შესვენების შემდეგ ხელთ იგდეს ინიციატივა, ბრძოლის მიწურულს კი გადამწყვეტი ქულა აიღეს და სატურნირო ცხრილში მეხუთე ერთიანი ჩაიწერეს — 57:56. ასკ, რომელიც უშუალოდ ემიჯნება აუტსაიდერთა საშიშ ზონას, 2 ქულით დასცილდა მთავარ მეტოქეს — თბილისის „ბურევესტნიკს".

ვილნიუსი. არანაკლებ მოულოდნელი აღმოჩნდა ადგილობრივი „სტატიბასა" და კიევის „სტროიტელის" ორთაბრძოლის შედეგი. 111 საპრიზო ადგილის რეალურმა პრეტენდენტმა მარცხი იწვნია იქ, სადაც ყველაზე ნაკლებად ელოდა ქულის დაკარგვას. მართალია, „სტატიბას" ამ გამარჯვებით (76:67) ბევრად არ გაუუმჯობესებია თავისი მდგომარეობა, მაგრამ გულშემატკივრებს რაღაც იმედი მაინც ჩაუსახა.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 23 თებერვლისთვის

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი" (ლენინგრადი) | 13 | 13 | 0 | 912—810 | 13 |
| ცსკა | 12 | 11 | 1 | 1024—816 | 11 |
| „ჟალგირისი" (კაუნასი) | 15 | 7 | 8 | 1144—1113 | 7 |
| „სტროიტელი" (კიევი) | 13 | 7 | 6 | 926—872 | 7 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 12 | 6 | 6 | 940—906 | 6 |
| „კალევი" (ტარტუ) | 13 | 6 | 7 | 929—956 | 6 |
| „დინამო" (თბილისი) | 13 | 5 | 8 | 967—1016 | 5 |
| ასკ (კიევი) | 14 | 5 | 9 | 906—1019 | 5 |
| „ბურევესტნიკი" (თბილისი) | 12 | 3 | 9 | 814—894 | 3 |
| „სტატიბა" (ვილნიუსი) | 13 | 2 | 11 | 881—1051 | 2 |

# მსოფლიო მიღწევებით

ძმები ზნამენსკების სახელობის მანეჟში გაიმართა მძლეოსანთა საერთაშორისო ტურნირი. შეჯიბრებამ საზღვარგარეთიდან უჩვეულოდ ბევრი მონაწილე მიიზიდა. ეს გასაგებიცაა: მალე საფრანგეთში კონტინენტის ზამთრის ჩემპიონატი ჩატარდება და ყველას სურდა ძალის შემოწმება. სპორტსმენთა სიმრავლის გამო ასპარეზობა წინასწარი, ნახევარფინალური და ფინალური შეხვედრებით ჩატარდა.

60 მეტრზე რბენის ფინალში გამარჯვება დაისაკუთრა 18 წლის ე. კაუფერმა (გდრ), რომელსაც ნახევარფინალსა და ფინალში ერთნაირი შედეგი (7,3) ჰქონდა. სსრ კავშირის ჩემპიონი ნ. ბესფამილნაია (შეიარაღებული ძალები) და დინამოელი გ. მიტროხინა მას 0,1 წამით ჩამორჩნენ.

110 მეტრზე თარჯრბენში სსრ კავშირის ჩემპიონი, თბილისელი სპორტის ოსტატი ა. მოშიაშვილი („დინამო") ამჯერად მისთვის უჩვეულო დისტანციაზე — 60 მეტრზე თარჯრბენში გამოვიდა და XIII ადგილს დასჯერდა — 7,8. ნახევარფინალში მოშიაშვილმა საკავშირო მიღწევა — 7,7 წამი აჩვენა. არ დაგავიწყდეთ, რომ ტურნირში აშშ-ს, გდრ-ის, გფრ-ის, უნგრეთის, მონღოლეთის, ნორვეგიის, რუმინეთის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, შვეციისა და სსრ კავშირის სპორტსმენები მონაწილეობდნენ. გამარჯვება ამერიკელ ტ. უაიტს ხვდა — 7,5. II ადგილზე გასულმა ვ. მიასნიკოვმა საკავშირო მიღწევა (7,7) გაიმეორა. აღსანიშნავია, რომ უაიტმა ნახევარფინალში მსოფლიო მიღწევა 0,1 წამით გააუმჯობესა — 7,4. მეორე დღეს მან წარმატება მოიპოვა 110 მეტრზე თარჯრბენშიც — 13,8.

მსოფლიო მიღწევებით აღინიშნა 600 მეტრზე მორბენალ ქალთა შეჯიბრებაც: 25 წლის რიგელმა ს. შტულამ წინასწარ შეჯიბრებაში 1.30,8 აჩვენა, ფინალში კი ეს რეკორდიც გააუმჯობესა — 1.30,4. აღსანიშნავია, რომ ძველ მიღწევას სხვა პრიზიორებმაც გადააჭარბეს: გ. ელენბერგერმა (გფრ) აჩვენა 1.30,6, ვ. ბირნბუმ-დიტჩმა (გდრ) — 1.30,7, მეხიკოს ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორმა ი. სილაიმ (რუმინეთი) — 1.30,8.

დინამოელმა ა. კორნელიუკმა 60 მეტრზე რბენაში მსოფლიო მიღწევა (6,4) ორჯერ გაიმეორა: ჯერ ნახევარფინალში, შემდეგ — ფინალში, და გამარჯვებაც დაისაკუთრა. 100 მეტრზე თარჯრბენში ქალთა მსოფლიო მიღწევის თანაავტორი გახდა უკრაინელი ნ. ტკაჩენკო. მისი შედეგია 13,7 წამი.

მეტად დაძაბული გამოდგა ტურნირი სიმაღლეზე ხტომაში. ვაჟთა ძირითადი ასპარეზობა რომ დამთავრდა, ევროპის ჩემპიონს კ. შაპკასა (სსრ კავშირი) და ამერიკელ ი. უაიტს (ორივე ფოსბიურის ყაიდით ხტებოდა) სრულიად ერთნაირი მაჩვენებლები აღმოაჩნდათ: 220 სანტიმეტრის დაძლევას ორივემ ცდების თანაბარი რაოდენობა მოანდომა. 223 სმ-ზე ვერც ერთი ვერ გადახტა. მაშინ ნსაჯთა კოლეგიამ უძლიერესის გამოსავლენად თამასა ისევ 220 სმ-ზე გადო. შაპკამ ეს სიმაღლე პირველივე ცდით გადალახა და გაიმარჯვა.

ქალთა შორის რ. გილდენმაისტერნმა (გდრ) 186 სმ სიმაღლე დაძლია. შემდეგ მან მსოფლიო მიღწევას შეუტია, მაგრამ 189 სმ ველარ დაიმორჩილა.

სამხტომში მეხიკოს ოლიმპიადის ჩემპიონი, დინამოელი ვ. სანეევი გამარჯვებასთან ახლო იყო: სამჯერ ერთნაირი შედეგი (16,65 მ) აჩვენა, მაგრამ საბოლოოდ II ადგილს დასჯერდა, ვინაიდან რუმინელმა კ. კორბუმ აჯობა — 16,73.

სხვა მაღალი შედეგები ასეთია: 1500 მეტრზე რბენა სსრ კავშირის რეკორდსმენმა ო. რაიკომ მოიგო — 3.47,7, ჭოკით ხტომა — ჰ.-ი. ციგლერმა (გფრ) — 530 სმ, ბირთვის კვრა — ჰ. ბრიზენიკმა (გდრ) — 20,03 მ, სიგრძეზე მხტომელ ქალთა შეჯიბრება — ნ. ბარიბანმა (სსრ კავშირი) — 637 სმ, ბირთვის კვრა — გ. ნეკრასოვამ (სსრ კავშირი) — 18.04 მ, რომელმაც თანაგუნდელ ა. ივანოვას 4 სმ-ით აჯობა.

მოსკოვი.

# ფრენბურთის ბადესთან

ოდესასა და ლენინგრადში გრძელდება ფრენბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატი.

ოდესაში მესამე დღის მატჩები ასე დამთავრდა: „ბურევესტნიკი" (ხარკოვი) — „დინამო" (ირკუტსკი) 3:0, ლომონოსოვის სახელობის ტექნოლოგიური ინსტიტუტი (ოდესა) — ასკ (დონის როსტოვი) 3:1.

ლენინგრადში მეორე და მესამე დღის მატჩების შედეგები ასეთია: ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი (მოსკოვი) — „კალევი" (მაარდუ) 3:1, „ავტომობილისტი" (ლენინგრადი) — „ლოკომოტივი" (კიევი) 2:3, ცსკა — „ავტომობილისტი" 3:1, ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი — „ლოკომოტივი" 3:0, „რადიოტექნიკი" (რიგა) — „კალევი" 3:0.

● მოსკოვი, 22 თებერვალი. აქ დამთავრდა სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების პირველობა ძალოსნობაში. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს დონის როსტოვის წარმომადგენლებმა. II ადგილზე გავიდნენ ნოვოსიბირსკელი ძალოსნები, ხოლო III — ხაბაროვსკელი ათლეტები.

● მინსკი, 22 თებერვალი. ადგილობრივ სპორტის სასახლეში დღეს გაიხსნა მოკრივეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობენ სსრ კავშირის, ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ზამბიის, ერაყის, პოლონეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიისა და იუგოსლავიის წარმომადგენლები. პირველ წყვილში კენჭისყრამ საბჭოთა სპორტსმენები შეახვედრა ერთმანეთს. ორი საკავშირო ჩემპიონატის პრიზიორმა, ფრუნზელმა ნ. ლოდინმა (მეორე უმჩატესი წონა) დაძაბულ ბრძოლაში სძლია ბელორუსიის ახალგაზრდულ პირველობაში გამარჯვებულ ი. პერეცს. ევროპის იუნიორთა ჩემპიონმა, სევასტოპოლელმა ა. ლევიშჩევმა (მჩატე) მეორე რაუნდში დაამარცხა 19 წლის ვ. საიფუტდინოვი (კალინინგრადი). სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის ვერცხლის პრიზიორმა, კრასნოდარელმა [illegible] (მეორე [illegible]საშუალო) ქულებით აჯობა ტურნირის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილეს, 18 წლის ა. კოზლოვს (ლიპეცკი).

● ჩირჩიკი, 22 თებერვალი. სოფლის მძლეოსანთა საკავშირო პირველობა კროსში გაართულა ხვავრიელმა თოვლმა, რომელმაც დღეს ტრასა დაფარა. მთავარი სპორტული ნადავლი—გაზეთ „სელსკაია ჟიზნის“ პრიზი გადაეცა ლიტვის გუნდს, რომლის წარმომადგენლებმაც ყველაზე სწრაფად დაფარეს ექვსივე დისტანცია. II ადგილი ხვდა რსფსრ-ს ნაკრებს, ხოლო III — უკრაინის კოლექტივს. უზბეკეთის სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სპეციალური პრიზი მიენიჭა რუსეთის ფედერაციის გუნდს 30-კილომეტრიან გარბენში გამარჯვებისთვის.

## ბრალი ედებათ...

ათამდე ცნობილ ამერიკელ მძლეოსანს, მათ შორის, 400 მეტრზე რბენაში მსოფლიო რეკორდსმენს ლ. ევანსსა და ბადროს ტყორცნაში მსოფლიო რეკორდსმენს ჯ. სილვესტრს პროფესიონალიზმში ედებათ ბრალი და მიუნჰენის ოლიმპიადაში მათი მონაწილეობის საკითხი სათუო გახდა.

ევანსმა, სილვესტრმა, სიგრძეზე მხტომელებმა ტეიტმა და ჰორნმა, სამმხტომელებმა უორკერმა და სმითმა, შუბისმტყორცნელმა სტიუარტმა და სხვებმა ხელშეკრულება დადეს მძლეოსნობის პროფესიულ ფედერაციასთან — „უორლდ სპორტს ინკორპორეიშენთან“.

აშშ-ს ოლიმპიური კომიტეტის საკვალიფიკაციო კომისია იკვლევს ბრალდებულთა საქმეს და თუ ყოველივე ეს დადასტურდა, საქვეყნოდ ცნობილ ათლეტებს მიუნჰენში ასპარეზობის უფლება ჩამოერთმევათ.

## ნახევარფინალების საგზურები მოიპოვეს

მადრიდი. ადგილობრივი „რეალის“ კალათბურთელ ვაჟთა გუნდმა აქ გამართულ საპასუხო მატჩში დაამარცხა ვენის „რადიო კოჰი“ (98:74) და ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების ნახევარფინალის საგზური მოიპოვა.

პრაღა. აქ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების მეოთხედფინალური შეხვედრა ჰქონდათ ათენის „პანათინაიკოსსა“ და პრაღის „სლავიის“ კალათბურთელ ვაჟთა კოლექტივებს. მატჩი ფრედ (74:74) დამთავრდა, მაგრამ, ვინაიდან „პანათინაიკოსმა“ პირველი მატჩი შინ მოიგო (99:73), ნახევარფინალშიც იგი გავიდა.

რედაქტორი მ. პაპაბაძე.

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

### „სკანდინავიის ლიგა“

შვეციის, დანიისა და ნორვეგიის ფეხბურთის ფედერაციების შეთანხმებით 1973 წლიდან იწყება ახალი საერთაშორისო ტურნირი, რომელიც ტრადიციული უნდა გახდეს. მას „სკანდინავიის ლიგა“ დაერქმევა.

როგორც მხარეები შეთანხმდნენ, ბრძოლაში ჩაებმება შვეციის 6, დანიის 4 და ნორვეგიის 2 კლუბი.

● ●

### უკვე გაიყიდა

როგორც ლონდონში გამოცხადდა, ინგლისისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პირველი მეოთხედფინალური მატჩი ევროპის პირველობაზე გაიმართება 29 აპრილს „უემბლის“ სტადიონზე, ხოლო საპასუხო შეხვედრა — 13 მაისს დასავლეთ ბერლინის სტადიონზე.

ყველა ბილეთი ამ ორივე მატჩზე უკვე გაიყიდა.

● ●

### ფიფა-ს დადგენილებით

ფიფა-ს პრეზიდენტმა ს. როუზმა ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, რომლის ძალითაც მსოფლიოს 1974 წლის ჩემპიონატის ტელეგადაცემების ნება მიეცა ორ დასავლეთგერმანულ და ერთ ლათინურამერიკულ კომპანიას. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა დაინტერესებულ ქვეყანას ახლა ამ ფირმებთან ექნება საქმე.

ფიფა-მ დიდი შემოსავალი მიიღო ამ ფირმებისგან — 18 მილიონი დასავლეთგერმანული მარკა.

### თამაშს ბენქსისგან ისწავლის

იტალიის ახლანდელი ჩემპიონი „ინტერნაციონალე“ დიდ იმედებს ამყარებს მეკარე ბორდონზე, რომელიც მხოლოდ 20 წლისაა. მან იტალიის მიმდინარე ჩემპიონატში საყოველთაო ყურადღება მიიპყრო და წარმატებითაც ითამაშა ჩემპიონთა თასზე მენჰენგლადბახის „ბორუსიის“ წინააღმდეგ.

„ინტერის“ მწვრთნელი ინვერნიცი მიიჩნევს, რომ ბორდონს ჯერ გამოცდილება აკლია. ამიტომ მწვრთნელმა ასეთი გადაწყვეტილება მიიღო: როგორც კი იტალიაში სეზონი დამთავრდება, ბორდონს ინგლისში მიავლენს, სადაც იგი ბენქსის მოწაფე გახდება.

## იცვლება თუ ბერდება?

„უმბერაზი“, როგორც თავის თავს ეძახდა ამერიკელი ზანგი კასიუს კლეი ანუ მუჰამედ ალი, შარშან ოთხჯერ გამოვიდა რინგზე. ამ ოთხი შეხვედრის წყალობით მისი საერთო შემოსავალი 3,5 მილიონი დოლარით გაიზარდა. რა გასაკვირია, რომ კაცი, რომელსაც ამდენი ფულის მოხვეტა შეუძლია, პრესის ყურადღების ცენტრში იყოს მოქცეული. ასე რომ, მსოფლიოს საზოგადოებრიობამ ბევრი რამ იცის ალის შესახებ — მისი შეხედულებები და მანერები, გონებამახვილობა და მჭევრმეტყველება, მისი, როგორც მოკრივის, ოსტატობა და ბევრი ისეთი რამ, რასაც თვით ალი არც აქცევს ყურადღებას.

შარშანდელი წლის მიწურულს ალი კვლავ გამოჩნდა ევროპაში (კერძოდ, იგი ჯერ შვეიცარიას ეწვია) გერმანელ იურგენ ბლინთან შეხვედრის ჩასატარებლად. რეკლამა და აჟიოტაჟი არც ამ ამბავს჻ აკლდა, მაგრამ თვით ალიმ მაინც განსაკუთრებით განაცვიფრა ყველა, ვინც კი სახელგანთქმულ მოკრივეს მისი დიდების პერიოდში იცნობდა.

სახელდობრ: ალიმ მანერები შეიცვალა.

მართალია, ალის უყურადღებოდ არ დაუტოვებია ბლინთან თავისი შეხვედრისთვის დაგეგმილი რეკლამა, ყოველმხრივ ცდილობდა არ გაეწბილებინა ხაქმოსნები და აქტიურად უწყობდა ხელს ყველა მათი ჩანაფიქრის განხორციელებას, მაგრამ ჯერ მარტო ის რად ღირს, რომ ალი მისთვის დაწესებული 300 ათასის ნაცვლად 250 ათას დოლარს დასჯერდა!

ჟურნალისტები განცვიფრებული იყვნენ იმით, რომ ალი პრეს-კონფერენციაზე უწინდებურად აღარ მედიდურობდა, წესიერად და თავმდაბლად იქცეოდა, იძლეოდა კონკრეტულ პასუხებს ყოველგვარი დამატებების გარეშე. თუმცა, როცა სიტყვა მის დამმარცხებელ ფრეზერზე ჩამოვარდა, მუჰამედმა აქ კი ვეღარ შეიკავა თავი, დაივიწყა გარსშემოჯარული სატელევიზიო კამერები, მიკროფონები, და სარცრად გაღიზიანებული, ისევ ძველებურად ალაპარაკდა. აქედან ნათლად ჩანს, რომ დამარცხება 1971 წლის მარტში ალის კვლავ ყველაზე მეტად ტანჯავს.

თუ ვინმეს მუჰამედ ალის ჰონორარი მეტისმეტად მაღალი მოეჩვენა, შევახსენებთ, რომ პროფესიონალ მოკრივეს საკმაოდ დიდი ოფიციალური გადასახადების გარდა, უამრავი ყოველდღიური ხარჯიც აქვს. ალი შვეიცარიაში ჩაფრინდა თავის მეუღლე ბელინდასთან, სამ ქალიშვილთან და 8 თანამშრომელთან ერთად (მისი მენეჯერი, მწვრთნელი და ამალის დანარჩენი წევრები შავკანიანები არიან).

ბლინთან მატჩის წინ ალიმ დიდი დრო მოანდომა ბუნების წიაღში ფიზიკურ დატვირთვას. დარბაზში წვრთნით კი თავი მაინცდამაინც არ შეუწუხებია (კრივისა და ალის გულშემატკივრები აშკარად მოტყუებული დარჩნენ: ბილეთებში მათ 15 შვეიცარიული ფრანკი ჰქონდათ გადახდილი, ნახვით კი ბევრი ვერაფერი ნახეს. მერე ხუმრობდნენ კიდეც: სჯობდა ალისთან ერთად გვერბინა ტყეში და ის ფრანკებიც შეგვრჩენოდაო). მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ერთი რიგიანადაც არ გაოფლიანებულა. შედეგი: წონა 102 კგ! შეხვედრის წინ ეს საკმაოდ სახიფათო იყო.

მიუხედავად ამისა, ალიმ დაამტკიცა, რომ მართლაც „უმსუბუქესი“ და უსწრაფესი მოკრივეა მძიმე წონაში. ამჯერად. მას აღარ უწინასწარმეტყველებია, რომელ რაუნდში დაამთავრებდა შეხვედრას, საჯაროდ გამოტუდა კიდეც, ამ საკითხში წარსულშიც რამდენიმეჯერ შევცდიო...

ასე გაიცნო ევროპამ სრულიად შეცვლილი მუჰამედ ალი. ერთნი ამ გარდაქმნას ნარკოტიკებს მიაწერენ, მეორენი ამტკიცებენ — ალიმ საბოლოოდ ისწავლა დიდი სპორტსმენის შესაფერისი მოქცევაო. არიან ისეთებიც, რომელნიც ეჭვნარევ ვერსიას გამოთქვამენ: თავდაჯერებული მოკრივის თავმდაბლობა ახალი სარეკლამო ხრიკი ხომ არ არისო? ყოველ შემთხვევაში, ყველას დასკვნა ერთობლივია — ალი რინგს გარეთ ძალიან შეცვლილია.

ყოველივე ზემოთქმულს ემატება ერთი მეტად მნიშვნელოვანი ფაქტიც: ალი ევროპაში მეუღლესთან და სამ ქალიშვილთან ერთად ჩამოვიდა. ბელინდა კვლავ ფეხმძიმეა. ალიმ განაცხადა: ამჯერად დანამდვილებით ვიცი, რომ ბიჭი მეყოლებაო. ვინ იცის, იქნებ მართლაც დარწმუნებულია ამაში. მან ხომ ისლამის წმიდა ადგილები მოიარა, რათა სურვილი შეუსრულდეს!

ალის ახალი სახე უაღრესად საინტერესოა. არ შეიძლება მუდამ დაიჯერო ის, რასაც ამერიკის პრესა წერს. დანამდვილებით საყურადღებოა ერთი ფრაზა, რომელსაც ალის მიაკუთვნებენ. თავმდაბალმა მუჰამედმა განაცხადა: „ახლა რინგზე უკვე იმიტომ გამოვდივარ, რომ ხალხს უყვარს ჩემი დანახვა. ნელ-ნელა ვბერდები...“

ვინ იცის, სად იმალება სიმართლე? ალის ძნელად დაეჯერება რინგზეც და მის გარეთაც.

ჟურნალ „შტარტიდან“ (სლოვაკია).

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: ალი თავის მეუღლე ბელინდასთან, ტყუპებთან — როზემეისთან და ჯამილასთან, უმცროს გოგონა მერიამთან.





საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის სპორტკომბინატის ზამთრის საცურაო აუზი (ჭავჭავაძის პრ. № 49-ბ) აცხადებს, რომ ყოველდღიურად — 7 საათიდან 9 საათამდე, 12 საათიდან 18 საათამდე და 22 საათიდან 22 საათსა და 30 წუთამდე მუშაობენ ზოგადგამაჯანსაღებელი სააბონემენტო ჯგუფები ცურვაში.

გამოცდილი სპეციალისტების მეთვალყურეობით ჯგუფებში ვარჯიში შეუძლიათ ყველა ასაკის მსურველებს, რომლებმაც ცურვა იციან.

აბონემენტის შეძენის მსურველებმა დირექციას უნდა წარუდგინონ ჯანმრთელობის ცნობა და დირექციასთან შეთანხმებით მეცადინეობისთვის სასურველი დრო შეარჩიონ.

აუზის დირექცია.

### დღეს

ფიზკულტურის ინსტიტუტის შენობაში (ჭავჭავაძის პრ. № 49) შედგება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პლენუმი.

დასაწყისი 18 ს.

### თბილისი სპორტულ ცხოვრება

კალათბურთი. სპორტის სასახლე. 24 თებერვალი. სსრ კავშირის ჩემპიონატი. „ბურევესტნიკი“ (თბილისი) — „კალევი“ (ტალინი). დასაწყისი: დუბლშემადგენლობების — 18 ს., ძირითადი შემადგენლობებისა — 20 ს.

წყალბურთი. ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის სპორტკომბინატის ზამთრის საცურაო აუზი. 24-25 თებერვალი. საქართველოს ჩემპიონატი. დასაწყისი 18 ს. 30 წ.

ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტი, საქართველოს ცხენოსნობის ფედერაცია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს უხუცესი ცხენოსანი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი

**ვალერიან სევასტის ძე ერისთავი**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.


საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14.

უე 02558